ექსპერტიზის

ანგარიში

(კორექტირებული)

ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N49-ში
(ს/კ 001.14.07.008.187), მრავალფუნქციური კომპლექსის/შენობის
პროექტის არქიტექტურული ნაწილების
„ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების
წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016
წლის 28 იანვრის N 41 დადგენილებასთან შესაბამისობის შესახებ

ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N49-ში (ს/კ 001.14.07.008.187), მრავალფუნქციური კომპლექსის/შენობის საპროექტო დოკუმენტაცია შეადგინა შპს „ნს სტუდიო”-მ.

საპროექტო დასკვნის შესადგენად გამოყენებულ იქნა დამკვეთის მიერ მოწოდებული დოკუმენდაცია.

- „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილების საფუძველზე განსაზღვრული არქიტექტურული პროექტი.
- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის №41 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“;
- საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 ნოემბრის N498 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.
- საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 დეკემბრის N732 დადგენილება ტექნიკური რეგლამენტი - „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტები“-ს შესახებ

1. შენიშვნები

შენიშვნა №	განმარტება

1. საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს სანებართვო არქიტექტურული პრტოექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 ნოემბრის N498 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებაში ცვლილებების შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.
2. საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.
3. საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები (დაკავებულობა, დაკავებულობის დატვირთვა, მისაწვდომობა და სხვა) შეესაბამება შენობა-ნაგებობების უსაფრთხობეის წესებში გამოყენებულ ტერმინებს

და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით. განუმარტავი ტერმინები საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით გამოიყენება.

1. ტერმინები და განმარტებები

ტერმინი №	განმარტება

1. *წესები* - „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები“,
2. შშმ - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე

2. პროექტის აღწერილობა

დაგეგმარების საფუძველი და მიზნის აღწერა:

საპროექტო შენობის დაგეგმარების საფუძველს წარმოადგენს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ 25/08/2023 გაცემული თანხმობა (ბრძანება № 390).

პროექტის მიზანია მრავალფუნქციური კოპლექსის/შენობის დაგეგმარება მოქმედი კანონმდებლობის დაცვით, თანამედროვე გეგმარების პრინციპების და შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების ნორმების გამოყენებით.

მოხდა პროექტის ცვლილება, რაც ითვალისწინებს:

1.შეთანხმებული პროექტის მიხედვით შენობა შედგებოდა **47 მიწისზედა** სართულისგან
ცვლილების შემდგომ სართულების რაოდენობა შეადგენს **56** -ს;
2. შეთანხმებული პროექტის მიხედვით შენობის სიმაღლე
0.000 ნიშნულიდან იყო **180 მ,**
ცვლილების შემდგომ შენობის სიმაღლე 0.000 ნიშნულიდან შეადგენს **230 მ-ს;**
3. შეთანხმებული პროექტის მიხედვით შენობის ტიპიურის სართულის სიმაღლე შეადგენდა **3.60 მ-ს,**
ცვლილების შემდგომ შენობის ტიპიური სართულის სიმაღლე **3,70 მ-ია;**
4. შეთანხმებული პროექტის მიხედვით შენობის ატიპიური საცხოვრებელი სართულების სიმაღლე იყო **3.60 მ;**
ცვლილების შემდგომ შენობის ტიპიური სართულის სიმაღლე **5.00 მ-ია,**
ატიპიური საცხოვრებელი სართულები გვაქვს(ნიშნულებზე: +60,400, +104.800, +149.200);
5. თაუერის ნაწილში ატიპიური საცხოვრებელი სართულების თავზე არსებული ტექნიკური სართულების ფილის კონფიგურაცია შეიცვალა ატიპიური კონსტრუქციული გადაწყვეტიდან ტიპიურით, რამაც ფასადის და შესაბამისად ტექ სართულის ფილის ფორმა შეცვალა, კონკრეტულ ნიშნულებზე: (+64.100, +108.500, +152,900);

6. შეთანხმებულ პროექტში ტექ.სართულების რაოდენობა შეადგენდა 3-ს მათ შორის 2 ტექნიკური სართულების სიმაღლე 3.60 მ ს შეადგენდა, ხოლო 1 არასრული სართული. (ნიშნულებით: +77.400, +113,400, +174.600).
ცვლილების თანახმად პროექტში ტექ სართულების რაოდენობა 1 სართული გაიზარდა.
ყველა ტექ.სართულის სიმაღლე არასრულია, ხოლო კიბის ბაქნის და დერეფნის სივრცის სიმაღლეები არ შეცვლილა, რაც ასახულია გეგმებზე, ჭრილებზე და შესაბამისად შედის K2 კოეფიციენტში.
(იხ კროკებზე და შესაბამის გეგმაზე);
7. მიწის დონის ქვედა სართულები იყო 4 (ნიშნულებით :-3.500, -6,400. -9,300, -12.200) ცლილების შემდგომ სართულების რაოდენობა გაიზარდა 2 -ით (ნიშნულებით : -5 სართული -15.100 და -6 სართული -18.000 ნიშნული);
8. ავტოსადგომების რაოდენობა შეთანხმებული პროექტის მიხედვით იყო : **310**
ცვლილების შედეგად, ორი სართულის დამატების შემდგომ პარკინგების რაოდენობა შეადგენს: **643;**
9. შენობის კორექცირების შემდგომ, ენერგოეფექტურობის კუთხით პროექტში არსებითი ცვლილებები არ მომხდარა, ჭრილებში ფრაგმენტები უცვლელი დარჩა.

ტერიტორიის აღწერა:

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირზე N49-ში საკადასტრო კოდი 001.14.07.008.187 ტერიტორიის ჯამური ფართობია 18664 კვ.მ; მას სამხრეთით ესაზღვრება ქ. ჩოლოყაშვილის გამზირი, ხოლო დანარჩენი სამი მხრიდან შემოსაზღვრულია

საკადასტრო ნაკვეთებით. ტერიტორია გამოირჩევა თითქმის ბრტყელი რელიეფით. ნაკვეთის აბსოლიტური ნიშნული ზღვის დონიდან მერყეობს 487.00 დან 497.00 მდე.
მათ შორის სხვაობა 10 მ-ს შეადგენს.

საგზაო ინფრასტრუქტურა:
დღეის მდგომარეობით ტერიტორია სამანქანო ტრანსპორტით მარაგდება მ. თამარაშვილის გამზირიდან ი. ციციშვილის სატრანსპორტო ქუჩით, ხოლო ფეხმავალთა ნაკადების შემოსვლა ხდება ქ. ჩოლოყაშვილის გამზირიდან.
მოთხოვნილი ფუნქციური ზონების განვითარების მიზანშეწონილობის შეფასების ძირითადი განმასზღვრელია:
. საპროექტო ტერიტორიის მარტივი სატრანსპორტო მისადგომობა;
. არსებული ამორტიზებული შენობების დემონტაჟის შემთხვევაში - ხე-ნარგავებისგან თავისუფალი, დიდი ტერიტორია და პრაქტიკულად თანაბარი დახრის მქონე თითქმის სწორი გრუნტის ზედაპირი;

შენობის განთავსება :
საპროექტო კომპლექსი ისეა დაგეგმარებული რომ შენობა განთავსდება ნაკვეთის ცენტრში, ხოლო მის გარშემო განვითარდება გამწვანებული ტერიტორიები, ამასთანავე აღსანიშნავია რომ შენობის როგორც დაბალი ნაწილის (კომერციული) ასევე მაღლივი ნაწილის სახურავები მთლიანად გამწვანდება. შესაბამისად მივიღებთ თითქმის საპროექტო ნაკვეთის ზომის

გამწვანებულ ზედაპირებს. ასევე მაქსიმალურად შენარჩუნებული იქნება არსებული ხე-ნარგავები
ეზოში გამწვანებული ტერიოტორიების საერთო ფართობი იქნება მინიმუმ 5639.1 კვმ, ხოლო კ3=0.3
გამწვანებულ ტერიტორიაზე დაირგვება ხე-მცენარეები დეტალური დენდროლოგიური პროექტის შესაბამისად.
კომპლექსს საზოგადოებრივი სივრცე უდგინდება ჩოლოყაშვილის გამზირის მხრიდან და შესაბამისად მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრაც მოხდება აღნიშნული ქუჩიდან.
საპროექტო წინადადება ითვალისწინებს არსებული შიდა გზის შენარჩუნებას და მის დაკავშირებას ქ. ჩოლოყაშვილის გამზირთან, შესაბამისად ნაკვეთზე მოეწყობა ახალი გზები რომელიც დაიწყება თამარაშვილის ქუჩიდან და გამოვა ჩოლოყაშვილის გამზირზე. ფეხმავალთა ნაკადების შემოსვლა მოხდება ქ. ჩოლოყაშვილის
გამზირიდან. ძირითადი საუბნო საავტომობილო გზის ტროტუარები საპროექტო არეალის მხარეს შესაძლებელია განისაზღვროს მინიმუმ 2,5 მ.
შენობა დაყოფილია A,B და C ბლოკებად.
C ბლოკი (-18.00 ნიშნულიდან ±0.00 ნიშნულამდე მიწისქვეშა სართული- **პარკინგი**)

შენობა მოიცავს მიწისქვეშა ავტოსადგომებს, რომელიც მოეწყობა ექვს მიწისქვეშა სართულზე (±0.00 დან -18.00 საპროექტო ნიშნულამდე) ესენია შენობის -1, -2, -3, -4 ,-5,-6 სართულები, პარკინგი ჯამურად გათვლილია 643 ავტომობილისთვის, მათ შორის გათვალისწინებულია სპეციალურად გამოყოფილი საპარკინგე ადგილები შშმ პირთათვის.

B ბლოკი (±0.00 ნიშნულიდან +20.30 ნიშნულამდე **მრავალფუნქციური, კომერციული ფართები)**

სართული 1 (±0.00 საპროექტო ნიშნულით) განთავსებულია ჰიპერმარკეტი და სპორტული მაღაზია, ლობი, ხანძრის მართვის ცენტრი, სპორტული კომპლექსის მიმღები, ოფისები.

სართული 2 (+5.00 საპროექტო ნიშნულით) ლობი, ტერასით და სპორტული დარბაზი.

ტექნიკური სივრცე (+10.00 საპროექტო ნიშნულით).

სართული 3 (+12.290 საპროექტო ნიშნულით) საცურაო აუზი, გასახდელები, სველი წერტილები, ტექნიკური სათავსები.

სართული 4 (+16.30 საპროექტო ნიშნულით) საოფისე ფართი ტერასით.

+20.30 (საპროექტო ნიშნულით) არაექსპლოატირებადი სახურავი.

A ბლოკი (+23.40 ნიშნულიდან +225.90 ნიშნულამდე - საოფისე და საცხოვრებელი სართულები) შენობის მაღლივი ნაწილი შედგება 59 სართულისგან მათ შორის არის ტექნიკური სივრცეები - არასრული სართულები, საოფისე საცხოვრებელი სართულები, სართულებს ერთმანეთთან 3 კიბის უჯრედი და 11 ლიფტი აკავშირებს, გეგმარებით შენობის შუაში მოთავსებულია ყველა ტექნიკურად საჭირო და დამაკავშირებელი სივრცე ხოლო წრიულად პერიმეტრზე, ბირთვის გარშემო გადანაწილებულია სხვადასხვა ფუნქციის მქონე სივრცეები

სართული 5 დან 14 სართულის ჩათვლით (+23.40 საპროექტო ნიშნულიდან + 56.70 ნიშნულის ჩათვლით) განთავსებულია ოფისები.

სართული 15, 26, 37 (+60.40, +104.80, +149.20 საპროექტო ნიშნულით) ატიპიური საცხოვრებელი სართულები ტერასით.

არასრული სართული - (+65.80, +110.30, +154.20, +224.00, +230.00 საპროექტო ნიშნულით) ტექნიკური სივრცეები.

სართული 16÷25, 27÷36, 38÷53 (+67.80÷+101.10, +112.20÷+145.50, +156.60÷+212.10 საპროექტო ნიშნულით) ტიპიური საცხოვრებელი სართულები

სართული 54, 55 სართული (+215.80, +219.90 საპროექტო ნიშნულით) საოფისე ფართი.

სართული 59 (+225.900 საპროექტო ნიშნულით) აუზის ტერასა.

სართული (+232.29 საპროექტო ნიშნულით) შენობის სახურავი - სამაშველო კაბინის დასადები მოედანი. კაბინა გათვლილია 10-15 ადამიანზე.

საპროექტო შენობის მიმდებარედ განთავსდება გენერატორი, რომელიც უზრუველყოფს შენობას დამატებითი - სათადარიგო ელ. მომარაგებით.

ფასადის აღწერა:

შენობის ერთ-ერთი მთავარი არქიტექტურული განმასხვავებელი ღირებულება მდგომარეობს მისი ფასადის კომპოზიციურ და კონსტრუქციულ გადაწყვეტაში, მნიშვნელოვანი კომპონენტი, რამაც შენობის მთლიანი და სტრუქტურირებულად ერთიანი ხასიათი შექმნა არის მისი ფასადი, გეომეტრიულად შედგენილი ფორმა, რომელიც, ალუმინის, შუშის და მეტალის ერთობლიობით მიღებული სტრუქტურაა. შედგება შიდა და გარე გაღებადი ელემენტებსგან, რაც აივნებსა და ტერასებზე კომფორტულად ყოფნის საშუალებას იძლევა, ფასადის სტრუქტურა გეომეტრიული განსხვავებებით და თავსებადი სიმეტრიულობით აკავშირებს შენობის ბაზას მაღლივ ნაწილთან და ინარჩუნებს შენობის მთლიანობას.

პროექტის ძირითადი სტრუქტურული სისტემის აღწერა:

A ბლოკი თაუერი: რკინაბეტინის მომოლითური შენობა (სართულიანობა) რკინაბეტონის სიხისტის დიაფრაგმული ბირთვით. კომბინირებული საძირკვლით (მონოლითური ხიმინჯების ველი შეკრული საძირვლის ფილით)

B ბლოკი: პედესტალი რკინაბეტინის ჩარჩოკავშირებიანი შენობა (სართულიანობა) რკინაბეტონის საძირკვლის ფილით.

საპროექტო შენობაში მოეწყობა:

1. შენობა აღიჭურვება NFPA13-ის ან საქართველოში არსებული შესაბამისი სტანდარტის მიხედვით დამონტაჟებული ავტოსაშხეფი სისტემით;

2. სახანძრო მილდგარები განთავსდება NFPA14-ის ან საქართველოში

აღიარებული სხვა სტანდარტების შესაბამისად;

3. შენობა აღიჭურვება ავტომატური სახანძრო საგანგაშო სისტემით;

4. შენობა აღიჭურვება კვამლაღმომჩენი სისტემით;

5. შენობა აღიჭურვება ცეცხლის ავტომატური აღმომჩენებით;

6. არხის კვამლაღმომჩენები განთავსდება კონდიცირების თითოეული სისტემის და ჰაერგამწოვ მთავარ არხებში, ასევე ყველა ასეთი სისტემის მისაერთებელთან;

7. შენობა აღიჭურვება საგანგებო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემით, რომელიც დაგეგმარდება და დამონტაჟდება NFPA 72-ის ან საქართველოში აღიარებული სხვა სტანდარტის შესაბამისად;

8. ელექტრომომარაგება და განათება ხანძრის საკონტროლო ცენტრისთვის, განიავებისა და ცეცხლის ავტომატური აღმომჩენი მოწყობილებები, ლიფტები, ბაქან-ლიფტი, გასასვლელი ნიშნები, გასასვლელი საშუალების განათება, ლიფტის კაბინის განათება, საგანგებო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემები, დაწნევის სისტემები, ცეცხლის ავტომატურად აღმომჩენი სისტემები, სახანძრო განგაშის სისტემები, ელექტროენერგიაზე მომუშავე სახანძრო ტუმბოები (საქაჩები), უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი სათადარიგო ელექტრომომარაგების სისტემებით - დიზელგენერატორის საშუალებით, რომელიც საპროექტო შენობის მიმდებარედ განთავსდება.

9. სახანძრო-სამაშველო დანაყოფისთვის მისადგომი თითოეული ლიფტის მომსახურე ელემენტები როგორც ჩვეულებრივი, ისე 60/კლასი 2/დონე 1 ტიპის სათადარიგო ელექტრომომარაგებით უნდა მარაგდებოდეს:

1.ლიფტის მოწყობილობა;

2.ლიფტის შახტის განათება;

3.ლიფტის კაბინის სივრცის გასანიავებელი და გასასაგრილებელი მოწყობილობა;

4.ლიფტის საკონტროლებლის გასაგრილებელი მოწყობილობა.

3. ძირითადი ნაწილი

1. დაკავებულობის და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება

პროექტი ითვალისწინებს საპროექტო შენობაში განსათავსებელი თითოეული ტიპის დაკავებულობისთვის შენობა-ნაგებობებისთვის უსაფრთხოების წესებით განსაზღვრულ ყველა დეტალურ მოთხოვნას, დაკავებულობები არის კლასიფიცირებული მე-3 თავის მიხედვით და შეესაბამება წესების **302-ე ქვეთავს.**

პროექტში გამოყენებულია საცხოვრებელი ჯგუფის **(სც-2)**, სასაწყობო **(სწ-1, სწ-2**), საქმიანი ჯგუფი **(სქ)**, თავშეყრის **(თვ-3**), სავაჭრო **(სვ)** და დაკავებულობები, კერძოდ:

1. **სასაწყობო ჯგუფები სწ-2** დაკავებულობა - შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟი -18.00, -15.10, -12.20, -9.30, -6.40 -3.50 ნიშ-ზე, *წესების* **311.3 ქვეთავის** მიხედვით აღნიშნული დაკავებულობა მოიცავს შენობებს, სადაც არაწვადი მასალები ინახება და მიეკუთვნება მცირე საფრთხის შემცველ სასაწყობო ჯგუფს.

სწ-2 დაკავებულობისთვის, განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი - **18,6** – **1004** ქვეთავის და **1004.1.2 ცხრილის** შესაბამისად (დ.დ. = 210÷265).

შემოზღუდული ავტოსადგომი აკმაყოფილებს **406.6.1 – 406.3 ქვეთავის** მოთხოვნებს და **406.5.11 ქვეთავით** განსაზღვრულ აკრძალვებს.

ავტოსადგომებზე ავტომობილისთვის განკუთვნილი ადგილის ზომებთან დაკავშირებით - თითოეული ავტოსადგომის ადგილის სიგანე შეადგენს 2,40 მეტრს, ხოლო სიგრძე აკმაყოფილებს მოთხოვნილ მინიმუმს 5,00 მ.

ვინაიდან ავტომობილების სადგომების რაოდენობა (643) აღემატება 50-ს, ავტოსადგომთან მისადგომად მოწყობილია ორმხრივი შესასვლელ/გასასვლელი საავტომობილო პანდუსი (სიგანე 7.00 მ)- **406.9.4 ქვეთავის** შესაბამისად.

საავტომობილო პანდუსი 15% ქანობისაა, რომელიც თავში და ბოლოში 3.50 მანძილზე შეადგენს -10%-ს, რაც შეესაბამება **406.9.4.4 ქვეთავის** მოთხოვნებს.

სასაწყობო ჯგუფები სწ-2 დაკავებულობა - ტექნიკური სივრცეები +10.00, +65.80, +110.30, +154.20, +224.00, +230.00 ნიშ-ზე, *წესების* **311.3 ქვეთავის** მიხედვით აღნიშნული დაკავებულობა მოიცავს სივრცეებს, სადაც არაწვადი მასალები ინახება და მიეკუთვნება მცირე საფრთხის შემცველ სასაწყობო ჯგუფს. განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი - **46,5 – 1004 ქვეთავის** და **1004.1.2 ცხრილის** შესაბამისად.

2. **სასაწყობო ჯგუფები სწ-1** დაკავებულობა - გასახდელები +12.29, +225.90 ნიშ-ზე, *წესების* 311.2 ქვეთავის მიხედვით აღნიშნული დაკავებულობა მოიცავს შენობებს, სადაც ინახება

- ჩექმები და ფეხსაცმელი;
- ტანსაცმელი, მათ შორის - შალის;

3. **საქმიანი ჯგუფი სქ** - ლობი, ხანძრის მართვის ცენტრი, სპორტული კომპლექსის მიმღები, ოფისები ±0.00 ÷ +56.70, +215.80, +219.90 ნიშ-ზე, *წესების* 304.1 ქვეთავის მიხედვით მოიცავს ამბულატორიულ კლინიკებს, ბანკებს, საფოსტო განყოფილებებს.

სქ დაკავებულობისთვის განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი - 9.3, 1004 ქვეთავის და 1004.1.2 ცხრილის მიხედვით.

4. **თავშეყრის ჯგუფი თვ-3** - საცურაო აუზები, სპორტული დარბაზი +5.00 +12.29, +225.90, ნიშ-ზე შეესაბამება 303.3-ე ქვეთავს, რომელიც მოიცავს:

- დახურულ საცურაო აუზებს (მაყურებელთა დასაჯდომების გარეშე);
- სპორტულ დარბაზებს (მაყურებელთა დასაჯდომების გარეშე);

თვ-3 დაკავებულობისთვის - სპორტული დარბაზისთვის და აუზის სივრცისთვის განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი - **4.7** (მთლიანი), ხოლო აუზის ბაქნისთვის **1.4** (მთლიანი), **1004 ქვეთავის** და **1004.1.2 ცხრილის** მიხედვით.

5. **საცხოვრებელი ჯგუფი სც-2** - საცხოვრებელი ბინები: +60.40 ÷+212.10 ნიშ-ზე შეესაბამება **310.4-ე ქვეთავს,** რომელიც მოიცავს მრავაბინიან საცხოვრებელ სახლებს, საცხოვრებელი ან საძინებელი ერთეულებით, სადაც დამკავებლები მუდმივად ცხოვრობენ.

საცხოვრებელი ერთეულები დაგეგმარებულია *წესების* **1208 ქვეთავის** გათვალისწინებით, კერძოდ, თითოეული საცხოვრებელი ერთეული შეესაბამება **1208.1 ქვეპუნქტით** განსაზღვრულ ოთახის მინიმალური სიგანის მოთხოვნას (პროექტის მიხედვით ოთახის მინ. სიგანე 2.90 მ). **1208 ქვეპუნქტით** განსაზღვრულ ჭერის მინიმალური სიმაღლის მოთხოვნას (პროექტის მიხ. მინ. სიმაღლე 3. 0 მეტრი).

დაგეგმარებული კომპაქტური ხანგრძლივი საცხოვრებელი ერთეულები - სტუდიოები აკმაყოფილებს წესების **1208.4 ქვეთავის** ყველა მოთხოვნებს, კერძოდ, საცხოვრებელი ოთახების ფართობი აღემატება მოთხოვნილ 20.5 მ^2-ს, ყოველ დამკავებელზე, თუ ორზე მეტია, თითოეულზე გათვალისწინებულია მინიმუმ 9,5 მ^2 დამატებითი იატაკის ფართობი. თითოეულ ერთეულს აქვს იზოლირებული ტანსაცმლის კარადა, სამზარეულოს ნიჟარა, საჭმლის მოსამზადებელი ქურა და მაცივარი და მათ წინ 80 სმ-ზე მეტი სივრცე, განათება და განიავება, ასევე დამოუკიდებელი სააბაზანო უნიტაზით, ხელსაბანი ნიჟარით და აბაზანით.

სც-2 დაკავებულობისათვის, განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი - **18.6, 1004 ქვეთავის** და **1004.1.2 ცხრილის** მიხედვით.

საცხოვრებელი ერთეულები (ბინები) ერთმანეთისგან გამიჯნულია ერთ საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე თარაზული ანაწყობით და ერთ საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე კედლებით, რაც შეესაბამება *წესების* 508.4 ცხრილში და 420 ქვეთავში განსაზღვრულ მოთხოვნებს.

6. **სავაჭრო ჯგუფი სვ** დაკავებულობა - ჰიპერმარკეტი, სპორტული მაღაზია ±0.00 ნიშ-ზე, *წესების* **309 ქვეთავის** მიხედვით მოიცავს ისეთი შენობებისა და ნაგებობების ან მათი ნაწილების გამოყენებას, სადაც გამოფენილია და იყიდება

საქონელი, ასევე, განთავსებულია ამგვარი საქონლის მარაგი, ნაკეთობები და სავაჭრო საქონელი და მისაწვდომია საზოგადოებისათვის. სავაჭრო ჯგუფი მოიცავს ქვემოთ ჩამოთვლილს, მაგრამ არა მხოლოდ მათ:

- აუქციონის დარბაზებს;
- აფთიაქებს;
- ბაზრებს/მარკეტებს;
- ბენზინ-გასამართს სადგურებს;
- საცალო და საბითუმო მაღაზიებს;
- უნივერმაღებს.

კომერციული სავაჭრო ფართების დაკავებულობის დატვირთვა გაანგარიშებულია **1004 ქვეთავის, ცხრილი 1004.1.2** მიხედვით და გამოყენებულია: მიწისპირა იატაკების ფართობებისთვის არსებული ფაქტორი 2,8 მთლიანი.

2. კონსტრუქციის ტიპების შეფასება.

შენიბა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების მიხედვით საპროექტო შენობისთვის გამოყენებული მასალების ცეცხლმედეგობის (განსაზღვრულია 721.1 ცხრილის მიხედვით), შენობაში არსებული დაკავებულობის საფუძველზე და შენობის საპროექტო სიმაღლიდან გამომდინარე შენობისთვის განსაზღვრულია **I-A** კონსტრუქციის ტიპი.

პროექტის კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ საპროექტო შენობის ელემენტები (გარე და შიგა მზიდი კედლები, სართულშუა და სახურავი) აკმაყოფილებს 601 ქვეთავს და 601 ცხრილის მოთხოვნებს და შეესაბამება I-A კონსტრუქციის ტიპისთვის მოთხოვნილ ცეცხლმედეგობის ხარისხს.

შენიშვნა: სახურავის და სართულშუა გადახურვის მოწყობაში გამოყენებულია ექსტრუდირებული პოლისტიროლის ქაფი (XPS), რომელიც მოწყობილია სართულშუა და სახურავის გადახურვის რკინა-ბეტონის მონოლითურ ფილებზე, რომელიც ყველგან, ზემოდან დაფარულია ქვიშა-ცემენტის მოჭიმვით (40÷80 მმ. სისქით), შემდეგ - ჰიდროსაიზოლაციო მასალით (სახურავზე) და კერამიკული ფილებით (იატაკებზე). ალის გავრცელების ინდექსი იქნება 75-ზე ნაკლები, ხოლო კვამლის განვითარების ინდექსი 450-ზე ნაკლები (**1407.10.1 ქვეთავი**).

ყოველივედან გამომდინარე დაცულია სახურავის და სართულშუა გადახურვის ცეცხლმედეგობის ხარისხი **601 ქვეთავის და 601 ცხრილით** მოთხოვნილი **I-A** კონსტრუქციის ტიპის შესაბამისად.

გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს წესების 602 ცხრილში განსაზღვრულ მინიმუმს ხანძარსაწინააღმდეგო და გარე კედლების სამშენებლო მასალიდან გამომდინარე, რაც ქვემოთ უფრო დეტალურად იქნება აღწერილი.

3. სიმაღლისა და ფართობის შეფასება.

503 ცხრილის მიხედვით, საპროექტო შენობაში არსებული დაკავებულობების და კონსტრუქციული I-A ტიპის მიხედვით დადგენილია შენობის დასაშვები სართულიანობა, სიმაღლე და ფართობი.
შენობის თითოეული სივრცე დაყოფილია დაკავებულობების მიხედვით. თითოეულ სართულზე დაკავებულობების ფართობის ჯამური მაჩვენებელი გასასვლელი საშუალებების ფართობებთან და სხვა ელემენტებთან ერთად არ ცდება 503 ცხრილში მითითებულ სართულების ფართობთან დაკავშირებულ ზღვრებს.
შენობის სიმაღლე მიწის დონიდან შეადგენს 232.29 მეტრს, ხოლო შენობის დაკავებული იატაკი მდებარეობს სახანძრო მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან 225.90 მ-ზე, ანუ 23.00 მ-ზე მაღლა და შესაბამისად, „*წესების*“ განმარტების მიხედვით საპროექტო შენობა არის მაღლივი.
საპროექტო შენობის სიმაღლე, სართულიანობა და ფართობი შესაბამისობაშია შერჩეულ კონსტრუქციულ ტიპთან და აკმაყოფილებს „*წესების*“ 503 ცხრილის მოთხოვნებს.

4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება.

გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელთან მისადგომი, გასასვლელი, შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა შენობის თითოეული სართულის დაკავებულობის დატვირთვის, გასასვლელამდე სავალი მანძილის, დერეფნებთან დაკავშირებული შეზღუდვების და გასასვლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე მე-10 თავის შესაბამისად.
-*წესების* მე-10 თავის 1021.2 ქვეთავის და 1021.2(2) ცხრილიდან გამომდინარე და ვინაიდან შენობა 130 მეტრზე მაღალია, მოწყობილია ერთი დამატებითი კიბე **403.5.2. ქვეთავის** მოთხოვნების შესაბამისად. აქედან გამომდინარე შენობას (A ბლოკი) ემსახურება სამი გასასვლელი სამი შიგა გასასვლელის გზა-კიბე.
წესების მე-10 თავის 1004 ქვეთავის, 1004.1.2 ცხრილის საფუძველზე განსაზღვრული დაკავებულობის დატვირთვების გამოთვლის და თითოეულ სართულზე მათი დაჯამების შემდეგ გასასვლელები განაწილებულია შემდეგნაირად:

მიწის დონის ქვემოთ -18.00, -15.10, -12.20, -9.30, -6.40, -3.50 ნიშ-ზე განთავსებულ შემოზღუდულ ავტოსადგომ გარაჟებს, საწყობებს (სწ-2) და სქ დაკავებულობებს საერთო დაკავებულობის დატვირთვიდან (210÷265) და *წესების* 1021.2(2) ცხრილიდან გამომდინარე ემსახურებათ სამი გასასვლელი -სამი გზა-კიბე. ორი გზა-კიბე ±0.00 ნიშ-ზე პირდაპირ გადის გარეთ, ხოლო ერთი გზა-კიბე მოწყობილია **1027.1 ქვეთავის** (გამონაკლისი 1.3) მოთხოვნების შესაბამისად მოწყობილი შენობიდან გასასვლელის საშუალებით, რომელიც უსაფრთხო ბილიკით უკავშირდება საზოგადოებრივ სივრცეს.
სამივე შემოზღუდულია ორსაათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე შემომზღუდავებით (1009.3.1.2 ქვეთავი). მოწყობილი აქვს ვესტიბიულები, რომლებიც აღჭურვილია დაწნევის სისტემებით.

გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი არ აღემატება 76.30 მ-ს.

±0.00 მ ნიშნულზე განლაგებულ სვ(1) დაკავებულობას - კომერციულ ფართს - სპორტულ მაღაზიას (დ.დ.=80) ემსახურება მოთხოვნილი ორი გზა-კარი, რომელთა შორის მანძილი აღემატება ფართობის საერთო დიაგონალის სიგრძის ერთმესამედს (ვინაიდან შენობა აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით), რაც შეესაბამება 1015.2.1 (გამონაკლისი 2) ქვეთავს. ორივე პირდაპირ გარეთ გადის და უსაფრთხო ბილიკით უკავშირდებიან საზოგადოებრივ სივრცეს.
გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი არ აღემატება 26.70 მ-ს.

±0.00 მ ნიშნულზე განლაგებულ სვ(2) დაკავებულობას - კომერციულ ფართს - ჰიპერმარკეტს და საწყობებს სწ-2-ს (დ.დ.=520) ემსახურება ხუთი გზა-კარი, მათგან ორს შორის მანძილი არ აღემატება ფართობის საერთო დიაგონალის სიგრძის ერთმესამედს (ვინაიდან შენობა აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით), რაც შეესაბამება 1015.2.1 (გამონაკლისი 2) ქვეთავს. ყველა პირდაპირ გარეთ გადის და უსაფრთხო ბილიკით უკავშირდებიან საზოგადოებრივ სივრცეს.
გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი არ აღემატება 57.80 მ-ს.
±0.00 მ ნიშნულზე განლაგებულ სქ დაკავებულობას - სპორტული დარბაზის მიმღებს (დ.დ.=28) ემსახურება მოთხოვნილი ერთი გზა-კარი, რომელიც პირდაპირ გარეთ გადის და უსაფრთხო ბილიკით უკავშირდება საზოგადოებრივ სივრცეს.

+5.00 ნიშნულზე განლაგებულ თავშეყრის თვ-3 დაკავებულობას - სპორტულ დარბაზს და სასაწყობო სწ-2-ს (ს.დ.დ.=188) ემსახურება მოთხოვნილი ორი გასასვლელი ორი გზა-კიბე, ერთი ±0.00 მ ნიშნულზე პირდაპირ გარეთ გადის, ხოლო მეორე **1027.1 ქვეთავის** (გამონაკლისი 1.3) მოთხოვნების შესაბამისად მოწყობილი შენობიდან გასასვლელის საშუალებით, რომლებიც უსაფრთხო ბილიკით უკავშირდება საზოგადოებრივ სივრცეს.
გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი არ აღემატება 42.0 მ-ს.

+5.00 ნიშნულზე განლაგებულ საქმიან სქ დაკავებულობას - ლობს და სასაწყობო სწ-2-ს (ს.დ.დ.=124) მოთხოვნილი ორის ნაცვლად ემსახურება ოთხი გასასვლელი ოთხი გზა-კიბე, ერთი ±0.00 მ ნიშნულზე პირდაპირ გარეთ გადის, ერთი **1027.1 ქვეთავის** (გამონაკლისი 1.3) მოთხოვნების შესაბამისად მოწყობილი შენობიდან გასასვლელის საშუალებით, ხოლო ორი ±0.00 ნიშ-ზე გასასვლელის გზა-დერეფნის საშუალებით გრძელდება შენობიდან გამოსასვლელამდე, მოწყობილია და აკმაყოფილებს **1023 ქვეთავის** მოთხოვნებს.
გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი არ აღემატება 50.30 მ-ს.

+12.29 ნიშნულზე განლაგებულ თავშეყრის თვ-3, დაკავებულობას - აუზსს (ს.დ.დ.=324) და სწ-1, სწ-2-ს ემსახურება მოთხოვნილი ორი გასასვლელი ორი გზა-კიბე, ერთი ±0.00 მ ნიშნულზე პირდაპირ გარეთ გადის, ხოლო მეორე **1027.1 ქვეთავის** (გამონაკლისი 1.3) მოთხოვნების შესაბამისად მოწყობილი შენობიდან გასასვლელის საშუალებით, რომლებიც უსაფრთხო ბილიკით უკავშირდება საზოგადოებრივ სივრცეს.
გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი არ აღემატება 51.10 მ-ს.

+16.30 ნიშნულზე სქ, სწ-2 დაკავებულობებს(ს.დ.დ.145) ემსახურება ოთხი გასასვლელი ოთხი გზა-კიბე, ერთი ±0.00 მ ნიშნულზე პირდაპირ გარეთ გადის, ერთი **1027.1 ქვეთავის** (გამონაკლისი 1.3) მოთხოვნების შესაბამისად მოწყობილი შენობიდან გასასვლელის საშუალებით, ხოლო ორი ±0.00 ნიშ-ზე გასასვლელის გზა-დერეფნის საშუალებით გრძელდება შენობიდან გამოსასვლელამდე, მოწყობილია და აკმაყოფილებს **1023 ქვეთავის** მოთხოვნებს.
გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი არ აღემატება 58.10 მ-ს.

+23.40 ÷+56.70 განლაგებულ საქმიანი სქ და სწ-2 ჯგუფის დაკავებულობებს (თითოეულზე ს.დ.დ.= 184);
+60.40÷+212.10 ნიშ-ზე განლაგებულ საცხოვრებელი სც-2 და სწ-2 ჯგუფის დაკავებულობებს (თითოეულზე ს.დ.დ.=67÷71);
+215.80, +219.90 ნიშ-ზე განლაგებულ განლაგებულ საქმიანი სქ, თავშეყრის თვ-3 და სწ-2 ჯგუფის დაკავებულობებს (ს.დ.დ.= 173, 150);
+225.90 ნიშ-ზე განლაგებულ განლაგებულ თავშეყრის თვ-3, საქმიანი სქ, სასაწყობო სწ-1, სწ-2ჯგუფის დაკავებულობებს (ს.დ.დ.= 278);
ემსახურებათ სამი გზა-კიბე, ორი გზა-კიბე ±0.00 ნიშ-ზე გასასვლელის გზა-დერეფნის საშუალებით გრძელდება შენობიდან გამოსასვლელამდე, მოწყობილია და აკმაყოფილებს **1023 ქვეთავის** მოთხოვნებს. ხოლო ერთი გზა-კიბე მოწყობილია **1027.1 ქვეთავის** (გამონაკლისი 1.3) მოთხოვნების შესაბამისად მოწყობილი შენობიდან გასასვლელის საშუალებით, რომელიც უსაფრთხო ბილიკით უკავშირდება საზოგადოებრივ სივრცეს.
გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი არ აღემატება 41.40 მ-ს.

+10.00, +65.80, +110.30, +154.20, +224.00, +230.00 ნიშნულებზე განთავსებულია შენობის დამხმარე საინჟინრო ინფრასტრუქტურა, მათ ემსახურებათ სამ-სამი გზა-კიბე, ორი გზა-კიბე ±0.00 ნიშ-ზე გასასვლელის გზა-დერეფნის საშუალებით გრძელდება შენობიდან გამოსასვლელამდე, მოწყობილია და აკმაყოფილებს **1023 ქვეთავის** მოთხოვნებს. ხოლო ერთი გზა-კიბე მოწყობილია **1027.1 ქვეთავის** (გამონაკლისი 1.3) მოთხოვნების შესაბამისად მოწყობილი შენობიდან გასასვლელის საშუალებით, რომელიც უსაფრთხო ბილიკით უკავშირდება საზოგადოებრივ სივრცეს. +65.80, +110.30, +154.20, +224.00 ნიშ-ზე მოსახვედრად, დერეფნებში დამატებით მოწყობილია მონაცვლესაფეხურებიანი კიბეები.

შენობა არის მაღლივი, **403.5.2. ქვეთავის** შესაბამისად, ვინაიდან შენობა 130 მეტრზე მაღალია, მოწყობილია ერთი დამატებითი კიბე, რომელიც აკმაყოფილებს 1009 და 1022 ქვეთავების მოთხოვნებს. სამივე გზა-კიბე აღჭურვილია დაწნევის სისტემით. გზა-კიბის შემომზღუდავებში მდებარე ღიობები დაცულია 1.5 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე კარის ანაწყობებით, რაც აკმაყოფილებს 716.5 ცხრილის მოთხოვნებს.
შიგა გასასვლელის გზა-კიბეები აკმაყოფილებს *წესების* **403.5.1 ქვეთავის** მოთხოვნებს შიგა გასასვლელის გზა-კიბეების დაშორებასთან დაკავშირებით. შიგა გასასვლელის გზა-კიბეები (ორი) ერთმანეთისგან გამიჯნულია, არანაკლებ 9.0 მეტრით.

გასასვლელთან მისადგომი გზა-კარების (ორი) გამმიჯნავი მანძილი აღემატება მოთხოვნილ - ფართობის საერთო მაქსიმალური დიაგონალის სიგრძის ერთმესამედს (შენობა აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემებით).

პროექტის მიხედვით შენობა აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით. *წესების* 1016 ქვეთავისა და 1016 ცხრილის მიხედვით გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი დაშვებულია სც, სვ -სთვის 75 მეტრი, სქ-თვის 90 მეტრი, ხოლო სწ-2-თვის - 120 მ.
რაც პროექტში დაცულია.
შენობის თითოეული სართულის დაკავებულობის დატვირთვის, გასასვლელამდე სავალი მანძილის და გასასვლელის კომპონენტების ზომები გათვალისწინებულია მე-10 თავის შესაბამისად.

5. გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელის საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება.

გასასვლელი და გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბეები მოწყობილია **1009 ქვეთავის** შესაბამისად.

გზა-კიბის სიგანე განსაზღვრულია **1009.4 ქვეთავის** და შენობის სართულზე მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-კიბეების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია **1005.3.1. ქვეთავში** განსაზღვრული ფაქტორი (**7.6**). პროექტის მიხედვით, დაკავებულობების დატვირთვების შესაბამისად გათვალისწინებულია - 1.34, 140, 170 მ სიგანის გზა-კიბე და მიღებული სიგანე შენარჩუნებულია შენობის ყველა სართულისთვის. კიბეებზე სავალი ზედაპირის ღია მხარეს მოწყობილია მოაჯირები **1013 ქვეთავის** შესაბამისად, ხოლო კედლის მხარეს სახელურები **1012 ქვეთავის** მოთხოვნათა დაცვით. სწორად არის განსაზღვრული საფეხურების შუბლის სიმაღლე და თარაზული ზედაპირის სიღრმე, რაც აკმაყოფილებს **1009.7.2 ქვეთავის** მოთხოვნებს. გზა-კიბეების ბაქნების ზომები შეესაბამება **1009.8 ქვეთავის** მოთხოვნებს;

